

შპს “ფშავი ჰიდრო”

ს/კ 405026234

ფინანსური ანგარიში

31 დეკემბერი 2023

ქ. თბილისი

30.09.2024წ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2 809 437	2,801,853
არამატერიალური აქტივები	1 191	488
გრძელვადიანი სესხები	709 695	588,536
	<u>3 520 323</u>	<u>3,390,877</u>
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	15 959	1,528
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	172 335	108,530
გადახდილი ავანსები	1398	2,724
სხვა მოკლევადიანი აქტივები	120547	95,154
სხვა გრძელვადიანი აქტივები	57 262	
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	25 969	74,614
	<u>393 470</u>	<u>282,550</u>
სულ აქტივები	<u><u>3913793</u></u>	<u><u>3,673,427</u></u>
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები		
საწესდებო კაპიტალი		-
აკუმულირებული მოგება	958 877	827,345
	<u>958 877</u>	<u>827,345</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	2 908 266	2,656,259
	<u>2 908 266</u>	<u>2,656,259</u>
მიმდინარე ვალდებულებები		
საფაქრო და სხვა ვალდებულებები	40 356	688
ანარიცხები	114	215
საგადასახადო ვალდებულებები		1,843
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6000	
მოკლევადიანი სესხები		186,557
სხვა ვალდებულებები		520
	<u>46 650</u>	<u>189,823</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	<u><u>3 913 793</u></u>	<u><u>3,673,427</u></u>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს:

რაული ქურდაძე
დირექტორი



გურამი გელაშვილი
მთ. ბუღალტერი

მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
შემოსავალი	811 607	781,240
სხვა შემოსავალი		-
გაყიდვების თვითღირებულება	(199 847)	(115,994)
საერთო მოგება	611 760	665,246
ხელფასის ხარჯი	(62 245)	(63,962)
იჯარის ხარჯები	(10 500)	(10,435)
ცვეთა და ამორტიზაცია	(87 534)	(85,383)
საგადასახადო ხარჯი	(26 247)	(29,650)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(49696)	(57,790)
შედგენი საოპერაციო საქმიანობიდან	(236 222)	(247,220)
ფინანსური შემოსავალი (საპროცენტო)	47 859	21,684
ფინანსური ხარჯი (საპროცენტო)	(-257 021)	(178,911)
სხვა ფინანსური შემოსავალი (სავალუტო სახსრების გადაფასება)	12 164	202,232
შხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(47 008)	(40,268)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგურამდე	(244 006)	4,737
მოგების გადასახადის(ხარჯი)/ბენეფიტი წლის განმავლობაში მიღებული მოგება/ზარალი	0	(57,834)
	131532	364,929

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს:



რაულ ქურდაძე
დირექტორი

[Handwritten signature]

გურამი გელაშვილი
მთ. ბუღალტერი

[Handwritten signature]

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვარი			
მოგება წლის	876 318	790 142	1 666 460
განმავლობაში	-	364930	364930
კაპიტალის შევსება	-	-	-
კაპიტალის შემცირება	(876 318)	-	(876 318)
დივიდენდები	-	(327 727)	(327 727)
2022 წლის 31 დეკემბერი	0	827 345	827 345
მოგება წლის	-	131 532	131 532
განმავლობაში	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
დივიდენდები	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	958 877	958 877

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს:



გურამი გელაშვილი
მთ. ბუღალტერი

J. J. J.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფშავი ჰიდრო“ რეგისტრირებულია 2014 წლის 17 იანვარს. საზოგადოების საინდენტიფიკაციო კოდია 405026234.

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბერბუკის ქუჩა, N 10/19-21, ბლოკი III, ბლოკი 2.

საზოგადოების ფაქტიური მისამართია: საქართველო, ხელვაჩაურის რაიონი სოფელი სკურდიდი

საზოგადოების პარტნიორები არიან:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან:

1. ზვიადი გუგავა, პ/ნ 53001001334 - 13%
2. რაული ქურდაძე, პ/ნ 01023004375 - 87%

კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი: დირექტორი - რაული ქურდაძე, პ/ნ 01023004375

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება, საამისოდ საზოგადოებას საკუთრებაში გააჩნია ჰიდროელექტროსადგური მდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სკურდიდში და დარეგისტრირებულია ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობის მონაწილედ როგორც წარმოების ლიცენზიანტი.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9753 (2022 წლის 31 დეკემბრისთვის ერთი ამერიკული დოლარი შეადგენს 2.7020 ლარს, ერთი ევრო 2.8844 ლარს). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწრიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო ვადები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

შენობა-ნაგებობები - 40-50 წელი

მანქანა-დანადგარები - 20-25 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 5-10 წელი;

კომპიუტერები და ელ.ტექნიკა 5-8 წელი;

ავეჯი და ინვენტარი 5-10 წელი;

არამატერიალური აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა) 5-12 წელი.

3.3 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღიარდება მათი შემენის თარიღით. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით, თუმცა საჭიროებისას (ზაზარზე ცვლილების შემთხვევაში) ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლოა აღიარდეს თვითღირებულებასა და ნეტო სარგალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარგალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადაამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება. განყოფილებაში „მარაგები“ აღირიცხება საზოგადოების სასაქონლო მატერიალური მარაგები, მ.შ. ელექტროენერგია წარმოებისას დანაკარგების გათვალისწინებით.

3.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასად (ეს მოიცავს გარიგების ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომელიც აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახვით). ხოლო თუ შეთანხმება მოიცავს ფინანსურ ოპერაციას, მაშინ ის აღიარდება მომავალი გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

პირველადი აღიარების შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასად და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ისინი ნორმალურ საკრედიტო პირობებში არიან და პროცენტს არ ითვალისწინებენ.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასად (ანუ ბანკისათვის გადასახდელი ფულადი სახსრების ამჟამინდელი ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და შედის ფინანსურ ხარჯებში.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს

3.5 გადახდილი და მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით.

გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.6 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

საზოგადოებას 49 წლიან საიჯარო სარგებლობაში გააჩნია სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი აღნაგობის უფლებით სადავო აშენებულია ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობა ნაგებობები და დამონტაჟებულია დანადგარ მოწყობილობები.

3.7 ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.8 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია მფლობელების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი სრულად შეესებულია ფულადი სახით.

დაგროვილი მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.9 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ახალი მოდელის ("მოგების გადასახადის ესტონური მოდელი") მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, რომელიც განიხილება მოგების განაწილებად (საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ზარკად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად, გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამასთან, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები, სსკ-ს 98-ე მუხლის შესაბამისად, გაცემის საანგარიშგებო პერიოდში იბეგრება მოგების გადასახადით, რომლის დაბრუნება/აღდგენა მოხდება სესხ(ებ)ის დაბრუნებისას პროპორციულად. აღნიშნული მოგების გადასახადი აღრიცხულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების მუხლში.

3.10 შემოსავლის აღიარება

კომპანია იღებს შემოსავალს ელექტროენერგიის გამომუშავებიდან და რეალიზაციიდან საქართველოს ტერიტორიაზე. შემოსავლის აღიარება ხდება ყოველთვიურად, იმ თანხის პროპორციულად რა რაოდენობის ელექტრო ენერგია იქნა მიწოდებული მომხმარებლისთვის, რომელიც თავის მხრივ დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით ხელმოწერილი კომპანიისა და კლიენტის მხრიდან დადასტურებული ასს „საქართველოს ელექტრო ენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (ესკო)-ს მიერ, რომელიც მცირე სიმძლავრის რეგულირებულ ელექტროსადგურებთან ანგარიშსწორებას ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ 36-ე მუხლის მიხედვით.

4 სავაჭრო მოთხოვნები

ბალანსში ასახული მთლიანი მოთხოვნის თანხა ძირითადად წარმოშობილია მომხმარებლების მიერ საქონლის შეძენის შედეგად. ყველა მოთხოვნა მოკლევადიანია და დენომინირებულია ლარში. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მოთხოვნები სრულად ამოღებადია და ამდენად არ არის საჭირო საეჭვო ვალების რეზერვის შექმნა.

მოთხოვნების ამოღების საშუალო პერიოდი არის 12 თვე.

5 ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები, ავჯი და ინვენტარი სხვა	სულ
ღირებულება					
2022 წ. 31 დეკემბერი	255,419	2,060,078	477,496	11,8851	2,800,894
შემოსვლა	-	-	-	94985	85 307
გასვლა	-	-	-	-	-
წლის ცვლილება		45,029	29,803	12 702	87 534
2023 წ. 31 დეკემბერი	255,419	20 015 049	444 693	94 276	2 809 437

6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

განყოფილებაში ასახული ვალდებულებები მოიცავს ძირითადად სავაჭრო ვალდებულებებს - მოწოდებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და მომსახურების მოწოდებებზე გადასახდელ თანხებს, რომელიც შეთანხმების საფუძველზე ექვემდებარება გადახდას საქონლის/მომსახურების მოწოდების შემდგომ, ასევე მუშა-მომსახურეთა მიმდინარე სახელფასო დავალიანებას, სასესხო და სხვა დარიცხულ ვადიან ვალდებულებებს. ყველა სავაჭრო ვალდებულება მოკლევადიანია და დენომინირებულია ლარში. სავაჭრო ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების გადახდის პერიოდი არის მაქსიმუმ 12 თვე. სასესხო ვალდებულება მის ფასს-ის შესაბამისად დაყოფილია გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებად.

7 შემოსავალი

1 შემოსავლები ელ. ენერგიის წარმოება რეალიზაციიდან:

№	თვეები	ენერგია-ბის გამომუშავება კვტ.სთ	საკუთარი მოხმარება ჯამი; კვტ.სთ	ფაქტიური დანაკარგი კვტ.სთ	საღირსე გაშვება კვტ.სთ 35/04	გაყიდული ელექტროენერგია	
						გაყიდული ელ-ენერგია კვტ.სთ	ღირებულება ა დღგ-ს გარეშე
1	იანვარი	345 185	9 308	8 702	327 177	327 176	44 853
2	თებერვალი	328 580	8 607	9 611	310 412	310 412	44853
3	მარტი	868 689	16 267	33 363	819 137	819 137	115 352
4	აპრილი	776 845	15 241	28 110	733 501	733 501	100 723
5	მაისი	539 148	12 287	16 322	510 544	510 544	40 452
6	ივნისი	387 960	7 894	11 595	368 490	368 490	41 608
7	ივლისი	433 011	9 330	13 387	410 306	410 306	52 471
8	აგვისტო	128 026	4 637	3 803	119 647	119 647	15 345
9	სექტემბერი	144 076	4 594	3 865	135 644	135 644	19 981
10	ოქტომბერი	556 401	11 178	18 660	526 641	526 641	78 345
11	ნოემბერი	579 035	11 907	20 520	546 627	546 627	81 562
12	დეკემბერი	695 943	15357.5	23439	637 163	637 163	97 206

სულ ჯამი	5 782 899	126 607	191 376	5 465 290	5 465 290	735 423
----------	-----------	---------	---------	-----------	-----------	---------

2.სხვა საოპერაციო შემოსავალი 76 184 ლარი (კერძოდ: 2023 წელს კომპანიამ შემოიტანა ფოლადის მილები, რომელთა რეალიზაციაც მოახდინა 2023 წლის ნოემრის თვეში.

8 სესხები

კომპანიას აქვს აღებული ბანკის სესხები აშშ დოლარში, სესხები დენომინირებულია ლარში და გრძელვადიანია. ბანკის სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთია 9,1%. გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი შესაბამისად ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე ვალდებულებების ნაწილში.

2023 წლისა 31 დეკემბრის მდგომარეობით აღებული სესხის ვადები და პირობები იყო შემდეგნაირი

ლარი	ვალუტა	ვადიანობა	2023 წლის 31 დეკემბერი	სესხის დაფარვის ვადა
უზრუნველყოფილი სესხები:				
ბანკი- სესხი 1	აშშ დოლარი	10 წელი	1 188 809	2032წ.
ბანკი- სესხი 2	აშშ დოლარი	10 წელი	708 846	2032წ.
ბანკი- სესხი 3	აშშ დოლარი	10 წელი	491 635	2032წ.
ბანკი- სესხი 4	აშშ დოლარი	10 წელი	250 910	2032წ.
ბანკი- სესხი 5	აშშ დოლარი	10 წელი	160 489.	2033წ.
ბანკი- სესხი 6	აშშ დოლარი	1 წელი	107 576	2024წ.

კომპანიას აქვს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე გაცემული მოკლე და გრძელვადიანი სესხები, რომელიც დენომინირებულია ლარში.

2023 წლისა 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხის ვადები და პირობები იყო შემდეგნაირი

ლარი	ვალუტა	ვადიანობა	2023 წლის 31 დეკემბერი	სესხის დაფარვის ვადა
ბანკი- ფიზ. პირები	აშშ დოლარი	4 წელი	307 629	2024-2025წ.
სესხი - იურ. პირი	აშშ დოლარი	4 წელი	402 065	2025წ.

9 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

გამოყენებული შეფასებები და მსჯელობები ეფუძნება ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს, მათ შორის ხელმძღვანელობის მოლოდინებს, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მომავალში მოვლენების შესაძლო განვითარებასთან დაკავშირებით.

9.1 მნიშვნელოვანი შეფასებები კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს თემასთან მიმართებაში

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.